განკარგულება:**g-37. 37232428**
თარიღი:**30/08/2023**

განკარგულება N51

30 აგვისტო 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

დაბა ურეკში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. დაბა ურეკში ე. თაყაიშვილის ქუჩაზე განთავსდეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის 3.28. „დგომა აკრძალულია“, 5.18. „მსუბუქი ტაქსის დგომის ადგილი“, 8.6.1. „სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი“, 8.6.4. „სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი“ საგზაო ნიშნები, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად (სქემა თან ერთვის დანართის სახით).

მუხლი 2. ამ განკარგულების თანახმად დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი